ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასოფლო გაზეთი

**გ ა ზ ე თ ი ს   ფ ა ს ი:**

| | გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა | — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. — |

მეოთხე წელიწადი

გ ა მ ო დ ი ს   თ ვ ე შ ი   ო რ ჯ ე რ

**ხ ე ლ ი ს-მ ო წ ე რ ა   მ ი ი ღ ე ბ ა.**

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.. სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში) თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи* «*СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ*»*, при типографіи Дубелира* (*Г. Церетели и к°.*)

№ 22 შაბათი — IV — 15 დეკემბერი, 1871 წ.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

### «სასოფლო გაზეთის» გამოცემაზე

### 1872 წელს

მომავალს წელს «სასოფლო გაზეთი» გამოვა იმავე პროგრამით და რედაქცია ეცდება წასულ წლებზე უკეთ აასრულოს თავის მოვალეობა.

**ხელის მოწერა «სასოფლო გაზეთზე» შეიძლება:**

ტფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ). სტამბაში, ხატისოვის სახლში სერგიევისა და სოლოლაკის ქუჩაზე.

ქ უ თ ა ი ს შ ი—გერასიმე კალანდარისშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვიმონ ლოლობერიძესთან, სილაზე,

თფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: *Въ тифлисъ въ контору Редакціи «Сельской Газеты,» на углу Сололакской и Серіевской улицъ. Д. Хатисова.*

## ხელმოსაწერი ფასი:

| | გაუგზავნელათ. | გაგზავნით. |
|---|---|---|
| ერთი წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში — — — — — — — — — | 3 მან. — — | 4 მან. |
| ნახევარი წლისა — — — — — — — | 1 მ. 50 კ. | 2 მ. |

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ვსთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვითვალონ თვისი სახელი გვარი და ადგილ-სამყოფი.

---

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

განცხადება სასოფლო გაზეთის გამოცემაზე 1872 წელს.—სამეურნეო ცნობები ლოჭინიდგან.—სამკურნალო ნაწილი:—რამდენიმე სიტყვა ცივებაზე—რა გავლენა აქვთ კაცის სიმრთელეზე სადგომ სახლებს და ადგილებს.—სამეცნიერო ნაწილი—სხვა-და-სხვა ამბები ტელეგრაფზე.—განცხადება.

---

## სამეურნეო ცნობები.

### ლოჭინიდგან

### (თიბათვე მკათათვე და მარიამობისთვე 1871 წლისა)

**მკალის:**

გაზაფხულზე ლოჭინის გარემოს გამოჩნდენ ბევრი კუტი კალიები და ნამდვილი კალიებიც, მაგრამ მაისის სიცივეებმა ზოგი ისევ უკან მიაქცია და ზოგი სულაც გასწყვიტა და დანარჩენი ტარბმა გადააშენა. ტარბები მოვიდნენ გუნდებათ, მოეფინენ მინდვრებში და გულს მოდგინებით მიჰყვეს ხელი მუშაობას, კუტი კალიები და ნამდვილი კალიები ისე შემცირდენ იმათ გამო რომ ივნისის ბოლოს იმათ კვალს ველარც კი იპოვნიდი. აპრილში და მაისის გოლვინობის გამო პურები გაყვითლდენ და თუმცა სარწყავი ყანები იყვნენ, მაგრამ ზედვე ეტყობოდა, რომ

კარგი მოსავალი არ იქნებოდა. მაისის ბოლოს და თიბათვის დამდეგ დაიწყო საშინელი ქარები ისე რომ ჯერ კიდევ კარგათ დასასხმობი თაველები სულ დაახმო, თიბათვის გასულს უნდა დაეჩქარებინათ მკით, თორემ ხორბალმა დაიწყო ცვენა. ამ სახით ლოჭინის სახელმწიფო აგარის სარწყავს ყანებში შუათანა მოსავალი მოვიდა. იქვე ურწყავს გლეხების ყანებში კი ცუდი მოსავალი იყო. ზოგიერთი ყანები არც კი მოუმკიათ გლეხებს რადგან დარწმუნებული იყვნენ რომ ამ მოსავალის ფასიც არ იქნებოდა. მაგრამ მახლობლათ მდებარე მთაზე სოფლებში კი მოსავალი ჩინებული იყო. ლილო, ნორიოს, მარტყობის სოფლებში ჩინებული მოსავალი იყო და ეს იმითი აიხსნება, რომ აქ ყოველ წელს შედარებით ბევრი წვიმა იცის. სახელმწიფო აგარის ყანებზე პური მდაბალი ტანისა და თხელი იყო ასე რომ ყმაწვილებმა, ლოჭინის შკოლის შეგირდებმა, მომკის მაგიერათ მოთიბეს და ფოცხებით შეგროვება უფრო სასარგებლოთ დაინახეს. კარგი მთიბავი მოთიბულს პურს თანასწორათ აწყობს, მერე ამ თანასწორათ დაწყობილს პურს ფოცხით კონებათ აგროვებენ და მერე ძნებათ კვრენ. ამ ნაირად მუშაობა ლაზათიანი და ჩქარია, თუ კი მუშები კარგათ არიან გაჩვეულნი. ამნაირათ მუშაობა იმდენათ სასარგებლოა რომ არ შეგვიძლიან არ ვურჩიოთ ჩვენებურს მემამულეებს. ცელზე ფოცხის მიკეთება და ერთ დროს თიბვაცა და ფოცხვაც ძალიან კარგათ იცის ყოველმა პურის მთიბავმა, ვისაც უნდა ნახოს ამნაირი ფოცხიანი ცელი, იმას ვურჩევთ კავკაზიის სამეურნეო საზოგადოების მუზეაში შევიდეს ტფილისში როცა იქნება და იქ ნახოს.

*
* *

### სამკელი მანქანა

ჩვენ აგრეთვე ვისმარეთ ლოჭინის ყანებში სამკელი მანქანა (მაშინა) გარრეტისა და იგივე ნაკლულევანება შევნიშნეთ, რაც დიდი ხანია შეუნიშნავთ ამისთანა მანქანებისთვის ჩვენს ყანებში საცა სარწყავი რუები გაყვანილია სიგძით და სიგანით ეს მანქანა კარგათ ვერ დადის რუებში, ეხლება; სწორ ყანებში საცა რუები არ არის ან საცა ფერდოები არ არის, იქ მანქანა კარგათ დადის. ჩვენ ყანებში განის რუები სულ მიწით ამოვაძრეთ და შემდეგ დავუწყეთ ტარება სამკელს მაშინას. მკის წინათ ყანებს პირები შემოუთიბეთ. მანქანის მუშაობის დროს ორი კაცი ნიჩბებით ნიადაგ წინ მიდიოდა, რომ ყანაში დაგდებული ქვები იქით ეყარა. მანქანა მაინც ნელა მუშაობდა და ხშირათ ჩერდებოდა ხოლმე. ყოველი ბელტი ან ცოტათ შემაღლებელი ალაგი გააჩერებდა ხოლმე მანქანას; ისინი ან ნიჩბით უნდა მოგვეშორებინა, ან სულ უნდა მოგვეჭრა და იქით გადაგვეგდო, რომ მანქანა არ გაჩერებულ იყო, ან თუ არა ხელთ უნდა აგვეღო სამკალი ფიცარი და ისე გადაგვეტარებინა მაღლობს ალაგზე, მაგრამ სამკელი მოწყობილობა მაინც ხშირათ ეფლებოდა ხოლმე მიწაში, როცა მანქანის თვლები ჩავარდებოდენ ხოლმე რუში. ესეც უნდა შევნიშნოთ, რომ პურის მკის წინათ რომ დიდი ქარები იყვნენ, იმათ ერთ გვერდზე დასწიეს ხორბალი. როდესაც მანქანა მიდიოდა ქარის პირდაპირ, მაშინ პურს მანქანისკენ ღუნავდა და კარგათ ითიბებოდა, მაგრამ როდესაც მანქანა იქითკენ მიდიოდა, საითაც ქარი ჰქროდა, მაშინ პურს ალაგ-ალაგ სულ მოუმკელს სტოვებდა.

### მოსავლი:

გვალვისა და ქარის შემდეგ ტფილისის გარემო ბალახიც არ ვარგოდა, ამისთვის ახლა ბალახი ძალიანაც გაძვირდა ლოჭინის სათიბებში, მხოლოდ ჭაობიანს ალაგებში ითიბებოდა ხეირიანათ თუმცა დანარჩენს ალაგებზედაც საკმაო საძოვრები იყო, მახლობელი გლეხის საძოვრები კი სულ გამხმარნი იყვნენ. თავ-თავის მოგროვებაში ცხენით სატარებელი რკინის ფოცხები ძალიან შეგვეწივნენ: ისინი ძალიან ჩქარა აგროვებენ თივას; ჩვენებური ფოცხები ახლოს როგორ მიუდგება იმას. პურის ყანებშიც ვხმარობდით ამ ფოცხებს, როცა ძნები გადმოვზიდეთ და ძალიან გვასარგებლა, ამისთვის სასურველია, რომ ჩვენს მხარეში გავრცელდეს ეს მანქანა; რაც რომ პირველს შემთხვევაში დაეხარჯება მებატონეს იმის ყიდვით, მალე ამოიღებს. ამ მაშინის დაბარება და თფილისში მოტანა ჯდება თორმეტ თუმან ნახევრათ. იმის ზიდვას ერთი ცხენი, ან ერთი ულელი ხარი კარგათ ჰყოფნის. იმის ხმარებას კი ყოველი გონიერი მუშა მოახერხებს.

### აბრეშუმის ჭია.

სამ გვარ აბრეშუმის ჭიებში, რომელნიც იზრდებოდენ ამ ზაფხულს ლოჭინის აგარაზე: იაპონიის გვარისა, სპარსული და ბუხრულში, ყველაზედ უკეთესი გამოდგა იაპონიის გვარისა. ამ გვარის ჭიებმა დააკეთეს კარგი თვისების და უფრო სხვილი პარკები. სპარსელი ჭიები ცოტათ დაიხოცნენ, მაგრამ პარკები კი კარგები დააკეთეს. ბუხრულმა ჭიებმა ძალიან დიდი პარკები დააკეთეს და ისე წმინდათ ნაკეთები არ იყვნენ. ამ ჭიებს უფრო დაერია ავათმყოფობა. ძლივს რამდენიმე პარკი აირჩია სათესლეთ, მაგრამ იმათაც კი გამოაჩნდათ შავი ლაქები, რომელიც არის ავათმყოფობის ნიშანი, თვითონ გამოუსვლელი პეპლებიც გაშავებულნი იყვნენ და ამის გამო ბუხრული აბრეშუმის პარკები ყველა აბრეშუმათ ამოიხვა. იმათგან თესლი აღარ გამოუყვანიათ.

*
* *

იაპონიის გვარის აბრეშუმი მკათათვის ბოლოს ცოტაოდენი კიდევ ხელმეორეთ გამოიყვანეს და ცალკე დააყენეს გასაზრდელათ. ჭიების საშენებელ დიდ დარბაზში კი უნდა ახრჩოლონ ქლორი, რომ ბუხრული აბრეშუმისგან გაჩენილი ავათმყოფობის ნატამალიც აღარ სად იყოს.

*
* *

### პირუტყვის ავათმყოფობა.

თიბათვის დამდეგ ლოჭინში და გარემო სო-

ფლებში გაჩნდა თურქული. ეს ავათმყოფობა არ არის საშიში პირუტყვისთვისა, თუ კარგი მოვლა ექნა ხშირათ თავისითაც გაივლის; შეიძლება უაფთიაკოთაც გამოვიდეს მეოჯახე, შინაური საშუალებით დაიწყოს წამლობა. რადგან პირუტყვს პირი სტკივა მაგარი საჭმელი ძალიან აწვალებს და ვერც სჭამს, ამისთვის რაც შეიძლება ნაზი ბალახი უნდა აძლიონ, განსაკუთრებით—ქატო აჭამონ და სხვა ამისთანაები. ამასთანავე დღეში რამდენჯერმე პირიც უნდა გამოურეცხონ ან ძმრით და ან აწლის ნადუღით. დღეში რამდენჯერმე ცივი წყლით უნდა დაბანონ ფეხები და თუ ფეხებზე მუწუკი აქვს ზედ რამდენჯერმე ერბო უნდა სცხონ. ავათმყოფი საქონელი არ უნდა ამუშაონ, იმისი რძე საჭმელათ არ ვარგა, არც უნდა გაუშვა კარგა მყოფი საქონელი იმ საბალახოებზე, საცა თურქულიანს საქონელს უძოვნია, ავათმყოფი საქონელი კარგს სუფთა და წმინდა ბოსელში უნდა დააბა, კარგა მყოფებს უნდა მოაშორო— რომ იმათაც არ შეეყაროს თურქული.

***

### ბოსტნეულის თესლები.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრმა ბახანოვსკიმ მიიღო ოსტინდიის თესლები და ჩვენ გამოგვიგზავნა. იქიდგან შემდეგი ბოსტნეულის თესლები ამოვიდნენ: წიწმატი, თვის ბოლოკი, ლობიო, კამა, ოხრახოში, ისპანახი, ამარანტესი (***амарантусъ***), მანილის თამბაქო და გიმალაის კედრი. ამ მცენარეებში განსაკუთრებლათ საყურადღებო შეიქნა თავისი სინაზით ისპანახი და გიმალაის მთის კედრი, მაგრამ სამწუხაროთ თესლი ისე ცოტა გვქონდა მარტო კოლოფებში და ქოთნებში დავთესეთ და ამის გამო ამ პირველი წლის ნათესით ბევრი ვერა შევამჩნიეთ რა ჩვენი სასარგებლო. კენდირის (ხელის მგზავსი მცენარე,) მოყვანას ბევრი არა სდომებიარა და თვითონ მცენარეც კარგათ იტანს ყოველ ნაირს ჰავას და მიწას, ასე რომ ეს მცენარე უეჭველათ უნდა გავრცელდეს ჩვენში, თუ იმისმა ძაფმა კარგი თვისება გამოიჩინა.

***

### ლოჭინის სამეურნეო შკოლა.

ამ შკოლაში პირველს ენკენითვეს იყო თექვსმეტი ყმაწვილი. ამათში შვიდი უფროსს კლასში იყო და ცხრა უმცროს კლასში. ზაფხულში ყოველნაირს საოჯახო მუშაობას თვითონ ეს შეგირდები ასრულებდენ: მაგალითად ძველი თესლისთვის მიწას ხნავდენ, ჰირნახულს, თივას იწევდენ, პირუტყვებს და აბრეშუმის ჭიას უვლიდენ, ბოსტანში მუშაობდენ, ნერგებს ხეებზე მყნიდენ, რანსობისა და სიგძის მანქანებზე ლეწავდენ ხორბალს და სხვ.

თვითონ სწავლება ყმაწვილებისა აი ეს იყო: უმაღლესს კლასში სწავლობდენ ბუნების მოვლენის კანონებს, შინაური პირუტყვის აგებულებას, სწავლობდენ სამღთო ისტორიას, არითმეტიკულს აღრიცხვას, ღრამატიკას და შემოკლებულს გეოგრაფიას. უმცროს კლასში ყმაწვილები სწავლობდენ ლოცვებს, ოთხ მოქმედებას არითმეტიკიდგან, რიცხვების შეერთებას, გამოკლებას, გამრავლებას და გაყოფას; აგრეთვე ეჩვეოდენ რუსულ ლაპარაკს და ანგარიშს. თანახმად წესდებისას კლასში სწავლება ყმაწვილებისა ზაფხულობით ბევრი არა იყორა.

ზ. გ:ევსკი.

# სამეურნეო ნაწილი

### რამდენიმე სიტყვა ციებაზე.

ბევრი მეცნიერები ცდილობდენ განეხილათ თუ რა არის, ან საიდგან წარმოსდგება ციებაო, მაგრამ აქამდის ზედმიწევნით არა შეუტყვიათ რა, თუმცა ძალიან ახლოს კი მივიდნენ გამოცნობაზე.

ამ უკანასკნელს ჟამს ხელმეორეთ განაახლეს თავისი გამოძიება და ნამდვილათ დარწმუნდნენ, რომ ციება სხვა და სხვა ნივთიერებისგან წარმოსდგება, რომელნიც სისხლში ჩადიან გარეთგან. ვებერი ასე ჰხსნის ციებას: «ციება არისო აჩქარებული სისხლის და ტანის მუშაობა, რომლის გამო კაცს სიცხე ეძლევა; სისხლის და ტანის მუშაობას აჩქარებს დარღვეული სისხლი ან ხორცი ან ბალყი, რომელნიც ჩაარდებიან ტანის სისხლში და მოქმედებენ კაცის სისხლზე, ისე როგორც საფუარი პურზე, ან როგორც საკვეთელი რძეზე; ამისგამო ტანი ძალიან კლებულობს და გახდება ხოლმე.

ვებერმა გამოიკვლია ეს აზრები იქიდგან, რომ ძაღლებისა და კატების ტანში, ესე იგი იმათ სისხლში შეურევდა ხოლმე ან ბალყს, ან დამპალს ქონს, თუ ხორცს და სხვა რამე მცენარეობას, ან ხაშმს: იმან შეიტყო, რომ ზოგი ამ ნივთებთაგანი ანთებას გვრიდენ ძაღლებს და ზოგი კი ციებას უჩენდა.

ამისთანა მოქმედება ქონდათ არამც თუ მარტო ბალყს, დამპალს სისხლს, არამედ ახალს რბილს, რომელიც გამოურწყავთ მუწუკიდგან და ჯერ კიდევ დამპალი არ ყოფილა, თუ ეს მართალი იყო, მაშ ციებიანის სისხლიც რომ შეესხათ ტანმთელს ცხოველს სისხლში უეჭველათ ციება უნდა შეჰყროდა. შინჯეს და მართლაც ასე მოხდა.

აქედგან სწავლულები დარწმუნდენ, რომ ციება მიუცილებლათ დამპალი ნივთიერების ბრალია, რომელიც სუნთქვით, ან სხვა რიგით ჩადის კაცის ტანში.

### რა გავლენა აქვთ კაცის სიმრთელეზე სადგომ სახლებს და ადგილებს?

(გაგრძელება)

იმ საშუალებით, რომელიც წარსული № ის უკანასკნელ სტრიქონებში უჩვენებთ მკითხველს, შეიძლება გავწმინდოთ ფეხის ალაგები ისე, რომ მცხოვრებლები არ შევაწუხოთ. მაშინ როდესაც პარიჟული საშუალებით ექვსი კაცი გაჭირვებით და თავის სისადეზე შიშით ძალიან ცოტა უწმინდურებას სწმენდამენ; ჩვენგნით აწერილი საშუალებით კი ორი კაცის შემწეობით ექვს კაცზე ოც ჯერ მეტს უწმინდურებას გასწმენდენ, ამასთა-

ნავე მეტი ის იქნება, რომ ამ საშუალებით ჰაერში ცუდი სუნი არ გავრცელდება. ამისათვის მალიან კარგი იქნება, რომ სახლის პატრონებმა ამ ახალი მოგონილი საშუალებით გასწმინდონ ხოლმე თავიანთი ფეხის ალაგები. ამ საშუალებას ბევრი ფასი არ მოუნდება და სასარგებლოც არის მეურნეობისათვის, რადგანაც სქელი და თხელი ნაწილები უწმინდურებისა არის გამანაყოფიერებელი მინდვრებისა.

*
* *

რომ უფრო გაადვილონ ზემოხსენებული საშუალება უწმინდურების გასაწმენდად ტურინში აკეთებენ ქალაქის გარეთ დიდ აუზს რომელიც მილით შეერთებული იქნება ქალაქის უპირველეს ქუჩებთან. ეს თავი მილი კიდევ იქნება შეერთებული სხვა პატარა ქუჩების მილებთან და ამ გვარად იქნება გაკეთებული ცალკე რუ, მოკლებული გარეთ ჰაერთან შეერთებას და ექნება კავშირი წყლის გამოსავლელ მილებთან, ფეხის ადგილებთან და სხვა უწმინდურ ადგილებთან. ამ სახით რამდენსამე წამის განმავლობაში უჰაერო სივრცის შემწეობით აუზის აპარატში (მომზადებულობა) შეიძლება ისე გამოვწმინდოთ რამდენიმე სახლის უწმინდურება, რომ ჰაერში ცუდი სუნი არ გავრცელდეს და არც ურმები მოგვინდეს. ამნაირი საშუალება არის მალიან სასარგებლო და პატივ საცემელი სხვა საშუალებებებთან, რომლებითაც კი უწმინდურობა იწმინდება, უფრო იმისთვის რომ ეს, არამც თუ არა სწყენს ნიადაგს, არამედ უფრო ბევრ სარგებლობას უტანს.

*
* *

სოფლების და ქალაქების ახლოს თუ ჭაობიანი ადგილებია უსათუოდ უნდა მოამშრალონ, ამისთვის რომ იმათ მცხოვრებლების სიმრთელეზე მალიან ცუდი გავლენა აქვთ. რასაკვირველია, ეს ყველგან ადვილი ასასრულებელი არ არის და ითხოვს ბევრს დროს, შრომას და ფულს. თუ ნიადაგი ნებას მოგვცემს, კარგი იქნება რუები გავთხაროთ წყლის გასაყვანად; ამასთანავე იმ რუების ნაპირებიდამ უნდა მოვჭრათ ის ხეები და ბუჩქები, რომლებიც წყალს თავისუფლად დენას უშლიან. ის ნელა მდინარე წყლები, რომლებისგანაც წუმპეები კეთდებიან, უნდა მალ-მალ იწმინდებოდეს, იმისთვის რომ ამათაც ისეთივე ცუდი გავლენა აქვს კაცის სისადეზე, როგორც დაგუბებულ წყლებს, რომლებსაც სარგებლობის მაგიერად ზარალი მოაქვთ. იმ მხარეებში სადაც ბევრი შეუმუშავებელი ადგილებია, მმართებლობამ უნდა დანიშნოს საჩუქარი იმათთვის, ვინც ამ ადგილებს შეიმუშავებენ; ეს დასაჩუქრება უნდა მდგომარეობდეს სხვა და სხვა სახელმწიფოს ხარჯიდგან განთავისუფლებაში. წყლის ადიდებას ყოველთვის მალიან ცუდი კაცის დამღუპველი შედეგები აქვსთ: ჩვენ არ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ წყლის ადიდების დროს ბევრი ხალხი მოაკლდება სიცოცხლეს და ცხოვრებას, არამედ ვილაპარაკებთ იმაზედაც, რომ ყოვლის ჩამყლაპველი ადიდებული წყლის დანახვა მართებს კაცს სიდამბლა, ეს, ბნედას და სხ. თუმცა ეს ასე მოხდება ხოლმე, მაგრამ ხალხი მაინც, იმ იმედით, რომ ამ გვარი უბედურება აღარ მოხდება, ხელახლად იმ წყლის ნაპირებზედვე სახლდება, რადგანაც იმ ადგილებთან არის შეჩვეული. ხშირად წყლის ადიდებით გაფუჭდება ხოლმე ის სოფლები, სადაც ამას არ მოველით. წყლის ადიდებას განსაკუთრებით მაშინ აქვს ცუდი გავლენა კაცის სიმრთელეზე, თუ რომ წყალი სახლებში შევარდება, რომლებიც არ შეგვიძლიან მალე გავწმინდოთ წყლისგან შეტანილი ქვიშისაგან და სხვა აყროლებული ნივთებისაგან, რისაგამოც კედლებში სინოტიე და მყრალი სუნი რჩება, რომლებსაც შეუძლიანთ დაჰბადონ ხალხში სხვა და სხვა ავათ-მყოფობა.

*
* *

რომ ავიცილოთ თავიდამ ადიდებული წყლისგან უბედურება ლიონი გვამლევს შემდეგ დარიგებას: 1) რადგანაც ზოგიერთა ადგილებში არ შეიძლება წყლის ადიდების დრო გავიგოთ, ამისათვის არ უნდა დასახლდნენ ამ გვარ წყლის ნაპირებზე; სახლები გამომწვარი აგურისაგან უნდა იყვნენ აშენებულები ერთი მეორეზე მალიან მოშორებით ოთახები მაღლები და განიერები უნდა იყვნენ. 2) სახლში დარჩენილი სინოტიე—წყლის შევარდნის შემდეგ უნდა მოვამშრალოთ კირის მობნევით. 3) რადგანაც ცეცხლი და ბოლი უფრო კარგად აქრობს დამაზიანებელ ორთქლს, ამისთვის გასაშრობლად ლერწმების, ბუჩქების და სხვა წვრილი მცენარეების ცეცხლი უნდა დავანთოთ. ის ადგილები, რომლებიც წყლისგან მალ-მალე ილეკება, უნდა გავაშენოთ ხეებით და ბუჩქებით. 4) ჭაობების გაშრობა და წყლისგან წალეკილი ადგალების შემუშავება თუმცა ძნელი არის, მაგრამ დიდი სარგებლობა კი მოაქვს; მხოლოდ უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ამ ჭაობებს ცუდი გავლენა არა ჰქონდეთ კაცის სიმრთელეზე.

სასაფლაოები შუა ქალაქებში არ უნდა იყვნენ, ამისთვის რომ მათგან ასულ ორთქლს ცუდი გავლენა აქვსთ მცხოვრებლების სისადეზე. იგინი ქალაქების გარეთ ხუთას ნაბიჯზე მაინც ან ჩრდილოეთისკენ და ან ჩრდილოთ-აღმოსავლეთისკენ და არც გასავლელი გზის ახლოს უნდა იყვნენ. ჭები ორასი ნაბიჯით მოშორებულნი უნდა იყვნენ სასაფლაოებზე.

*
* *

საჩქარე კაცის და სხვი ცხოვლების მძოვრების აყროლებისა მდგომარეობს იმაში, თუ

როგორი გავლენა აქვს ჰაერს. ორთქლი, მძოვრების დაშლის დროს, უფრო მიელ ვრცელდება მაშინ, როდესაც სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის ქარი ქრის, რისათვისაც სასაფლაოები ამ ქარებისგან უნდა დავიცვათ. ხმელ ნიადაგში, გვაში უფრო ყროლდება, სინამ ნოტიო ან სველ ადგილებში. თიხიან მიწაში დამარხული კაცის მძოვრი უფრო მალე იშლება და ლპება, სინამ ქვიშიან და კირიან ადგილებში, რომლებიც თავისუფლად უშვებენ ორთქლს. მძოვრების ორთქლის და ჭაობების გაზების ერთად შეერთების დროს წარმოსდგება კაცის ისადის დამღუპველი შედეგი.

*
* *

სასაფლაოს სიდიდე უნდა ეთანხმებოდეს ადგილობრივ მცხოვრებლების რიცხვს, და ამასთანვე საჭიროა, რომ ყოველთვის რჩებოდეს საკმაოდ დიდი თავისუფალი ადგილი. თუ რომ ქალაქში არ არის გავრცელებული გადამდები ჭირი, მაშინ 30—35 კაცზე ერთი კაცი საშუალო რიცხვად უნდა მივიღოთ მთელი წლის დახოცილებში. ამას გარდა სასაფლაოს სიდიდე მდგომარეობს კიდევ იმაში, თუ რამდენი ხნის შემდეგ შეიძლება ძველი სასაფლაოების ხმარება ახალი მკვდრების დასამარხავად.

*
* *

იმ მსწავლულების აზრი, რომლებმაც სწერეს ამ საგანზე, ზვერნაირია: ერთნი საკმაოდ რაცხვენ 20, ხოლო სხვანი 30 წელიწადს. მედიცინის მალით მკვდრის ტანი მიწის ქვეშ უნდა იდოს გაუნმრყვნლად რამც თუ იმდრომდის, სინამ დაიშლება იმისი ხორცის რბილი წილები, არამედ სინამ ძვლებიც არ დალპება. ძვლების დალპობა ძალიან ბევრ დროს ითხოვს და ამისათვის ყოველთვის არ შეიძლება ამდენ ხანს მოვითმინოთ. რომ ძვლები კარგა დიდ ხანს არ იშლება, ამასა ვხედავთ გეროდოტის ისტორიდამ, რომელმაც თავის ეგვიპეტში მოგზაურობის დროს, სამოცდა ათი წინად მომკვდარი სპარსელი კაცის თავი გაარჩია სამოც და ათი წლისავე მომკვდარი ეგვიპტელი კაცის თავიდამ.

*
* *

მკვდარი ბავშვების ტანი უფრო მალე ლპება, სინამ დიდი კაცებისა. შემდეგ ისიც უნდა გვქონდეს სახეში, რომ ადგილი, სადაც დიდხანს იყვნენ დამარხულნი მკვდრები, გინდ რომ მძოვრების ნაშთენებიც სრულად აღარ იყოს, ამ ადგილში ბევრი ცუდი სუნის ორთქლი არის, რომელსაც ძალიან ცუდი გავლენა აქვს კაცის სიმრთელეზე.

*
* *

ჩვენ დროში ბევრს უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ მძოვრების სუნს ცუდი გავლენა არა აქვს კაცის სიმრთელეზედ, მაგრამ ამის დამტკიცება იმათ სრულებით ვერ შეიძლეს, ამბობს ამაზე ერთი სწავლული რინკე. მძოვრებიდამ ასულს ორთქლს ძალიან ცუდი გავლენა აქვს კაცის სიმრთელეზე; როდესაც ეს ორთქლი ბევრი შეგროვდება ერთად, მაშინ კაცს გულის წუხილს და ხანდის ხან უეცრივ სიკვდილსაც დამართებს. თუ ორთქლი ცოტაა, მაშინ კაცს დაასუსტებს, თავს ასტკივებს და სხვა. ვგონებთ, რომ მკვდრების სუნისგან წარმოსდგება ხოლმე სათიფლე და სხვა და სხვა ავათმყოფობანი.

*
* *

ძველი დროს ექიმების თხზულებებში ვპოულობთ იმისთანა მაგალითებს, რომლებიც ამტკიცებენ ამ გვარი ორთქლების ცუდ გავლენას კაცის სიმრთელეზე. მაგ. მასტი ამბობს, რომ ერთი მესაფლავე, რომელიც ჩასულიყო სასაფლაოში და უნდოდა მკვდრისთავის ტანისამოსის გახდა, იპოვეს მკვდარი მკვდართან მწოლი. ყვავილით მკვდარი ქალის ტანი ჩაედოთ ტყვიის კუბოში და ისე დაემარხათ; როდესაც შემდეგ ერთის წლისა ამოთხარეს იმის საფლავი, ნახეს რომ კუბო გატეხილიყო და იქიდამ ისეთი სუნი გამოდიოდა, რომ ახლო მახლო მდგომნი ავათ გახდნენ, ერთი მუშა იქვე მოკვდა, ხოლო მეორეს კი ყვავილი შეხვდა. რომაცინი ამბობს, რომ ერთმა მესაფლავემ ამოთხარა ერთი მკვდარი ქალის საფლავი რომ იმის ფეხიდამ ბაშმაკები გაეხადა და ჩაეცვა, მაგრამ საფლავის გათხრის უმალ მკვდარს თითონაც ზედ დააკვდა. დიჟონის სობორო—ამბობს ფრანკი—შიგ დამარხული მძოვრების სუნისგან ისე მოიწამლა, რომ იმის გამო წარმოსდგა სხვა და სხვა ხალხის გამწყვეტი ჭირი. ჩვენ შეგვეძლო ამისთანა მაგალითები კიდევ ბევრი მოგვეყვანა, მაგრამ ესეც საკმაო არის იმის დასამტკიცებლად რომ მკვდრების მძოვრების სუნს ძალიან ცუდი გავლენა აქვს კაცის სიმრთელეზე.

*
* *

ლეშის დალპობაზე რიკეს აზრით დიდი გავლენა აქვთ შემდეგ გარემოებაებს.

*
* *

1) სითბოს. სითბო მიელ მალე ალპობს ცხოველების მძოვრებს, ხოლო ცივი ჰაერი კი დიდ ხანს ინახავს უვნებლად მომკვდარს რასმე. მაგ. ციმბირულმა ყინულებმა დღევანდელამდის შეინახეს წარღვნის წინად მყოფი დიდი ცხოველები. ამ საუკუნის დასაწყისში, როდესაც მდინარის ლენეს ყინულები დაადნეს, იპოვეს ლეში მომონტისა (ცხოველისა), რომელიც ისე კარგად იყო დაცული, რომ ძაღლები, თეთრი დათვები, მგლები და მელები სიხარბით სჭამდნენ იმას. მხელ სიცხის დროს მკვდრის ტანი იშლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჰაერი ცოტათი ნოტიოა, წინააღმდეგ ამისა ლეშს ხმებს, შეუცვლელად დიდხანს ინახებს, და ბოლოს დროს მტვრათ გადაიქცევა. აზიის და აფრიკის სამხრეთ-დასავლეთისკენ

ხშირათ ქვიშა წაუყრებსთ ხოლმე ქარავანებს და იმალებიან, და როდესაც რამდენიმე დროს განმავლობის შემდეგ უეცრივ შეხვდებიან მათ სხვა მოგზაურები' იპოვიან ხოლმე მუმიათ გადაქცეულებს.

***

2) დიდი გავლენა აქვს ლეშის დალპობაზე ჰაერს: მაგ. როცა ჰაერი ძიელ აწვება მკვდარს, მაშინ მის ტანი მალე არ იშლება; ხოლო როცა არ აწვება მაშინ კი მალე იშლება. ლეშის დალპობაზე აგრეთვე დიდი გავლენა აქვს მჟავ-მბადს.

***

3) უწყლოდ ლეშის დალპობა სრულებით არ შეიძლება, მაგრამ ამისთვის ის წყალიც საკმაოა, რომელიც იმყოფება ყველა ტანში. თუმც წყლის ორთქლს დიდი გავლენა აქვს ტანის დალპობაზე, მაგრამ ტანი რომ წყალში ჩავუშვათ გვიან ლპება.

***

4) ზოგიერთს ნივთებსაც, როგორც მაგ. კირს, დიდი გავლენა აქვს ტანის დალპობაზე; ხოლო სხვანი კი, როგორც მარილი მრმის მჟავ-მბადი აგვიანებენ ტანის დალპობას.

5) ამას გარდა დალპობაზე გავლენა აქვთ მწერებსაც, რომლებიც სჭამენ არამც თუ რბილ ნაწილებს, არამედ ძვლებშიაც შეძვრებიან ხოლმე.

***

6) ტანის დალპობაზე გავლენა აქვს წლოვანებისაც. ყმაწვილების ტანი უფრო მალე იშლება, სინამ დიდების და მოხუცებული კაცების ტანი. ქალების ტანი კაცების ტანზე უფრო მალე ლპება, სუქნები გამხდრებზე. ამას გარდა გავლენა აქვს ავადმყოფობას და სიკვდილს: წყალ-მანკისგან მომკვდარი უფრო მალე ლპება ყველაზე, ჩქარა ლპება მეხით და ჭლექით მკვდარზე შხამით მოწამლულები.

***

7) თუ სასაფლაო დაბლა ტენიან ალაგზე იმყოფება, მაშინ ძრიელ სინოტიეს გამო ტანი გვიან იშლება, დაქანებულ ალაგეში დამარხულები უფრო მალე ლპებიან, რადგანაც წყალი წვიმისა თუ სხვა რისამე დაქვე ალაგებისკენ მორბიან ხოლმე.

***

8) რამდენიც სასაფლაო ღრმა იქნება, იმდენად მასში დამარხულ კაცის ტანზე ზაფხულის სიცხეებს ცოტა გავლენა აქვს, იმდენად ადვილად გროვდება მასში წყალი, იმდენად მწერებიც ცოტანი იქნებიან; აგრეთვე ვერც ჰაერს ექნება გავლენა.

9. თუ მკვდარი ან სულ არ არის ჩაცმული და ან თუ სუბუქად აცვია. იმდენი მაშინ უფრო მალე ლპება, სინამ მაშინ, როდესაც მკვდარი აბრეშუმის ტანისამოსით არის ჩაცმული. რამდენიც კუბოს ხე მაგარი იქნება, იმდენად გვიან დალპება ტანი.

## სხვა და სხვა ანბები ტელეგრაფზე.

რადგანაც ტელეგრაფი გადასცემს ხოლმე ანბავს სხვას უხმოთ და რადგანაც უხილავი საგანი უფრო სასიამოვნოა და თითქმის სრულებით უბრალო გონებისთვის მიუწდომელია; აქედგან ცხადათ სჩანს, როგორი აღბეჭდილება ექმნება ამისთანა მოვლინებას იმისთანა გონებაზე, რომელიც გაუვარჯიშებულია; მაგალითად ერთი ბაზრის კაცი ჰფიქრობდა და მოიფიქრა, რომ მალთუნის შუა გულში ჩასდებენ ხოლმე წვრილათ დახვეულ წერილს და ისე შებერვით გაგზავნიან ხოლმე; მეორემ, ამაზე უფრო ბრძენმა, მოისაზრა რომ ხმა უფრო ადვილათ მიდის, ვინემ ქაღალდი და ამტკიცებდა, რომ ანბავს გზავნიან სალაპარაკო ლულითაო.

გამოჩნდა კიდევ ისეთი კაციც, რომელიც არწმუნებდა კაცს, რომ იმან გაიგონა დეპეშა იმ დროს, როცა ის ბოძის ახლო იდგა.

ერთი ცნობის მოყვარე გუთნის დედამ ექსი ვერსტი გაიარა, რომ დაენახა კაცი, რომელიც გაბმულ მალთუნზე გაირბენდეს ხურჯინით, სადაც წიგნები ეწყობოდა.

მოხდა კიდევ ერთი ამბავი, რომ ერთს მოქალაქეს სხვა სტანციაში ქოლგა დარჩენოდა, იმას მოისურვა რომ ტელეგრაფით ეცნობებინა იქ, რომ ქოლგა იქ დარჩა თუ არა. დეპეშა გაგზავნეს, და პასუხათ მოვიდა რომ კარგა გაისინჯეთ მანდაობაო; მიიხედ-მოიხედა თუ არა მაშინვე ტელეგრაფის ბოძზე დაკიდული დაინახა თავის ქოლგა. მოქალაქეს თავს-ზარი დაეცა. მაშინვე იმან იფიქრა, რომ ქოლგა ტელეგრაფით მოუვიდა; მაშინვე წასვლა დააპირა, რომ მოშორებოდა მომხიბლავ ალაგს. ის ვერავინ დარწმუნა, რომ იმას ქოლგა სხვა სტანციაში კი არ დარჩენოდა, არამედ იქვე თითონ თან მიოტანა.

ელექტრიკული ტელეგრაფი დიდ სარგებლობას აძლევს, როცა ტუსაღების დასაჭერათ მისდევენ; ეს უფრო მალე მიდის სტანციაში ან ქალაქში, ვინემ გაქცეული ტუსაღი. ამ სახით დაიჭირეს ერთი ყასაბი, რომელიც ჩაჯდა რკინის გზაში და თან ძაღლის წაყვანა უნდოდა. მაგრამ გამგებელმა არ გაუშვა ძაღლი ვაგონში, მაინც ყასაბმა დაუსტვინა ძაღლს და ისიც ახტა და გვერდით მოუჯდა, ამ დროს ვაგონი წავიდა. ყასაბს, როგორღაც არა სჯეროდა ტელეგრაფის მალა. ის და იმისი ამხანაგები თავიანთ მოტყუებაზე იცინოდნენ. «ისინი ტელეგრაფის გაგზავნას ვერ მოასწრობენ, ამბობდნენ ისინი, მანამ ისინი გაგზავნიან, ჩვენ კიდეც ბილმინღში მივალთ»; მაგრამ ისინი მოსტყუვდნენ, იმათი იმედი სრულებით გაც-

რუვდა, მოგზაურობაში იმათ იმდენი მისცეს მაღლში, რამდენსაც ითხოვდნენ.

* * *

უფრო გრძელი ელექტრიკოს ტელეგრაფი იყო გაბმული ლონდონის პორსნუტის შუა: როცა ეს გააკეთეს, მაშინ იმათ სახეში ჰქონდათ: მიწაში გაივლის ელიკტრიკოს მალა ისევ იმ მალით და იმ სივრცეს თუ არა. ლონდონის სტანციიდგან ანიშნეს, მაშინ ყველამ მალთუნის წვერს ყურადღებით ცქერა დაუწყეს. — პასუხი ჯერ არ მოვიდა. ორჯერ-სამჯერ კიდევ მოუცადეს, შემდეგ წვერებმა მოძრაობა დაიწყეს. დაიწყო ასოების დაწერვა, და სიტყვა გამოვიდა. «ბუხართან გულიანათ მემინა». ესეთი პასუხი იმისთვინ მოვიდა, რომ მალთუნზე — ზარი მობმული არ ყოფილიყო, და ჯერ გაეღვიძებინა იქ მუდმივი ყარაული.

* * *

ყურადღების ღირსია ზოგი ერთი ფენომენები (ნამდვილ ბუნების მოვლინებანი), რომელიც მოუხდენია მალთუხში გავლის დროს ელექტრიკოს მალას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჭექა-ქუხილი ყოფილა. სახეში მიიღეს რა ელექტრიკოს მალა, ზოგიერთს, რომელიც სტანციაში მსახურებდა ეშინოდა, რომ ამ მრიელ მალას ქვეშ არ მოჰყოლიყვნენ ჭექა-ქუხილის დროს. იმ დროს როცა მალთუნში ელექტრიკო მიდის, ამისთვინაც მალიან ფთხილათ იყვნენ. თუმცა ჯერ ამ მიზეზით არ მომხდარა სამწუხარო შემთხვევა, მაგრამ მაინც კიდევ ჰფთხილობენ. ყოველა ბოძს რაზედაც მალთუნი გავლებულიყო გაუკეთეს კიდევ სხვა მალთუნი, რომელიც მიწაში ერთი თავით უშვეს. ამერიკაში, როგორც არწმუნებდა პროფესორი გერნი, ხანდისხან მალთუნები დაეწყვიტა ელვას და ბოძები რკინის გზაზე გაეწვანა. ამას გარდა მთელი ერთი სათი ღვის მგზავსი ნაპერწყალი სჩანდა, რომელიც მალთუნში მიდიოდა. ინგლისში წვრილი დაგრეხილი მალთუნი დადნენ, და ამის გამო სტრელკა ჩრდილოეთის მაგიერათ უჩვენებდა სამხრეთს. ხანდისხანაც ზარები ირეკებოდნენ ხოლმე ჭექა-ქუხილის დროს.

* * *

ხანდისხანაც ელვაც სცდილობდა დეპეშის გაგზავნას, რომლის მიზეზი ჯერაც არ იციან.

* * *

ბევრსა ჰგონია, რომ ფრინველი იხოცება იმ დროს, როცა დეპეშა მიდის, თუ კი იმ მალთუნზე დასხდებიან ან სხედან ფრინველი. ერთმა ცუდლუტმა კაცმა იანგარიშა კიდეც, თუ რამდენ დროს დაიხოცებიან მტაცებელი ფრინველები. ესეთს განმრახვას ბოლო ედება; ამისთვინ რომა, ჩვენ მუდამ ვხედამთ მალთუნზე მსხდომარე ფრინველებს, მაგრამ არ იხოცებიან კი.

* * *

ქარის ქროლის დროს გაბმული მალთუნი ხმას უშვებს, ფანდურის ხმის მგზავს, რომელიც უცუნურ კაც დეპეშათ ეჩვენება ხოლმე. არა ერთხელ გლეხმა ყური მიადო ტელეგრაფის ბოძს, რომ გაეგონა რამე, ან ზედ ბოძზე ადიოდა ხოლმე, რომ უფრო კარგა გაეგონა; მაგრამ ვერა ფერი კი ეყურებოდა. ამ გაუგონრობას იმას აწერდა, რომ მე ეს ენა არ მეყურებათ.

* * *

სამოცდა ათი წლის წინათა, ესე იგი, ათას შვიდას ოთხმოცდა შვიდს და ათას შვიდას ოთხმოცდა ცხრა შუა, საფრანგეთში მუშაობდა გამოჩენილი მეხანიკი ლომონდი არტურ იუნღთან, მალიან შესანიშნავი ელექტრიკოს მალა გამოაჩინა. აი იუნღი ამაზე როგორა სწერს: «თქვენ ერთ ორ სიტყვას ქაღალდზე დასწერთ და ის ოთახში შეიტანს, სადაც მაშინას დაატრიალებს, ამ მაშინაზე გაკეთებულია ელექტრომეტრი (პატარა რგვალი ხის გულისა). ერთი ამ მაშინის მალთუნი მობმულია სხვა ცილინდრზე და ელექტრომეტრზე, რომელნიც სხვა ოთახში დგას. იმის ცოლი ადევნებს თვალს, იმ ასოებსა სვამს, რომელსაც ის უჩვენებს. აქედგან შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმას ანბანი შედგენილი ჰქონდა. რადგანაც გმელ და მოკლე მალთუნში განსხვავება არ არის, ამისთვინ შეიძლება რამთელიც სურს გააბას, დაბრკოლება კი არა იქმნება რა. როგორიც უნდა იყოს ამისი სარგებლობა - ეს არის საჩინო გამოგონილება».

* * *

ეს გამოგონილობა რამდენიმე წელიწადი უნაყოფოდ დარჩა; მართალია ეს იმ აზრით იყო გამოგონილი, როგორითაც ელექტრიკული ტელეგრაფი, და ისევ ამნაირათ მოქმედობდა, როგორც ის, მაგრამ მაინც კიდევ უნაყოფოთ იმყოფებოდა რამდენიმე წელიწადი.

* * *

ელექტრიკოს მითვისება ტელეგრაფის ნიშნებთან მალიან ბევრმა გაიგო უწინა; უფალი გამბლი თავის თხუზულებაში, რომელიც წარსულ საუკუნის დამლევს დაბეჭდა, ამბობდა თუ როგორ გადასცემს ანბანს ელექტრიკო. ფრანსხის როლადსი თავის თხუზულებაში ამბობდა, რომ, კოვალლო სცდილობდა, რომ ანბანი გადაეცა განცალკავებულ მალთუნში, როცა ნაპერწკალს გაუშვებდა ხოლმე ამ მავლთუნში, და რომ ათას რვაას თექვსმეტს წელს თითონვე გამოსცადა ეს და კარგათაც მოუხდა, მინამ გალვანის და ვოლტოვის ელექტრიკო. იმას ჩინებულათ მოუხდა განცალკავებულ მალთუნით ენიშნებინა ცამეტ ვერსზე; და ეს დაწვრილებით სწერს, როგორ უნდა შეათანხმოს ელექტრიკო ტელეგრაფის ნიშნებთან.

* * *

კუკის და პროფესორის ვიტსტონეს მეშარობამ ამ საქმეში გვიჩვენა პრაკტიკაში მოხმარება გ. ი. ელეკტრიკო შეაერთა ტელეგრაფთან. პროფესორი დანიელი ამბობს, რომ კუკს შეუძლიან თავის თავზე კაცობას სთქვას, ამისთვინ, რომა მთელი მხარე ვალთებულია მადლობის თქმისა, რომ იმან ტელეგრაფთან ელეკტრიკო შეაერთა,—ესეთი შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს სუყველა ხალხზე.

*
* *

როგორც ლონდონს და ლივერპულს შუა ტელეგრაფის გაკეთება გაცვდა თუ არა მაშინვე მოხდა შესანიშნავი ამბავი, რომელიც მთელი ხალხის სალაპარაკო შეიქნა.

*
* *

ერთ საამურ დღეს, ერთი ფრანგი ჩამოხდა ლივერპულს სასტუმროში. მეორე დღესაც ისევ ამ სასტუმროში ჩამოხდა ერთი ამერიკელი კაცი რომელიც უცდიდა გემს, რომელიც ნიუიორკში უნდა წასულიყო. უცხოები ხომ მალე მეგობრდებიან-ერთათ სვამენ და ერთათა სჭამენ-ერთი სიტყვით განუშორებლივ არიან. ფრანგს არა ფერი საგძალი არა ჭქონდა რა, და მალ-მალე თავის უქონელობას ჩსჩიოდა; არა ჭქონდა იმისთვინ რომ ლონდონში მაფრაშა დარჩენოდა და ემდურებოდა რკინის გზის კამპანიას, რომ იმათ იმისი მაფრაშა დაეკარგა. იმის მეგობარი ამერიკანელი მუდამ ამლევდა ფულს და უკელგან იმის მაგიერათაც ფულს იდებდა. რადგანაც ამერიკანელს ატლანტიჩესკი ოკეანი უნდა გაეარა, ამისთვინ მას უნდოდა ანგლიის ბანკის ბილეთები თეთრ ფულზე, დაეხურდავებინა რომელიც გზაში საჭირო არის ხოლმე, ამისთვინ ის წავიდა ლივერპულის ბანკში, ამის მეგობარი ფრანგიც თან გაჰყვა და თან ანბობდა «სადაც შენ იქაც მე»

*
* *

ბილეთები ბანკში არ დაუხურდავეს, რადგანაც სამყოფი ოქრო არა ჭქონდათ, ამისთვინ ისევ შინ დაბრუნდნენ, სადაც ამერიკელმა თავის მაფრაშაში ჩაანწყო თავის ბილეთები. მეორე დღეს ამერიკანელს უნდოდა ლივერპულში წასვლა და თან ფრანგიც წაიყვანა. მაგრამ ფრანგს რადაცა ჭქონდა ფიქრათ, [..]ა წაჰყვა, როცა ამერიკანელი შინ დაბრუნდა დაინახა თავის მაფრაშა გაღსნილი, ნახა რომ ექვსას ოცდა ხუთი მანეთი 100 (*Стерл*) ფრანგს თან წაეღო და სამასი ოქრო კი შიგ გაუშვა. იმან ეს ფულები ვერ დაინახა; ის კურიელით (შიკრიკით) გამგზავრდა ლონდონში. მაგრამ ტელეგრამი უფრო მალე მივიდა, და ფრანგი [..] დროს, დაიჭირეს როცა ის ახურდავებდა ბანკის ბილეთებს.

*
* *

ათას შვიდას ორმოცდა რვა წელს ფრანკლინმა და იმის მეგობრებმა მოინდომეს, რომ ელეკტრიკოთი ედღე'ასწაულათ ფილადელფიაში. ფრანკლინი და ამის მეგობრები მალიან სწუხდნენ, რომ აქამდინ ვერა მოიგონეს რა და ვერც მოუტანეს კაცობრიობას სარგებლობა ელეკტრიკოთი. ერთხელ როცა თბილი დრო იყო, როცა ელეკტრიკოზე გამოცდა ცუდია, მაშინ იმათ მოინდომეს ელეკტრიკოს დღესასწაულება, დახურულ სეზონში, შუილკინის ნაპირზე. აი რამთენიმე ფოკუსი, რომელიც ამ სწავლულების ყრილობამ გამოაჩინა: ას სამოცდა ექვსი საყენი მავთული წყალში გაავლეს, დ[ა] ამ მავთულით, ელეკტრიკოს ძალით ამ სივრცეზე ნავთს ც[..]ლი წაუკიდეს. მოჭკლეს და შესწვეს ელეკტრიკოს ნაპერწკლით ინდოური; ცეცხლიც ისევ ელეკტრიკოთი გააჩინეს. შემდეგ უკელამ იმათი სადღეგძელო დალია, ვისაც კი ელეკტრიკოზე ცოტათი მაინც ჭოფიქრი ჭქონია; მაგ. დალიეს სადღეგძელო ინგლისელებისა, ფრანგებისა, ნემცებისა და სხ.

*
* *

ელეკტრიკოს სიჩქარე ისე უეცარია, რომ შესა[..]ელი არ არის, დაკვირებით გაიზომოს. უნდა აიღოს რამდენიმე ათასი ვერსტი, იმის სიარულის სივრცე, რომ ერთ წამში რამდენს გაივლის. თუმცა ამის გაგება ძნელია, მაგრამ პროფესორმა ვიტსტინმა გამოიგონა ი[..]ეთი იარაღი, რომლითაც შეიძლება [illegible] გაიგოს ელეკტრიკოს სიჩქარე. ეს იარაღი შესდგება ორი მადნეული სარკითა, რომელიც ერთ წამში ორას ოთხმოც და რვა ჯერ ტრიალდება. ამ ღონის მიებითა პროფესორმა გამოიანგარიშა, რომ ელეკტრიკო მავთულში მირბის, და ეს სიარული გადაემატება ნათლის სიარულს. ზედმიწევნით გამოიანგარიშა, რომ ერთ წამში ელეკტრიკო გაივლის ოთხას სამოცდა ექვსი ათას ოთხას ვერსტ.

ქალაქში ისყიდება

სემინარიაში და სხვა ალაგებში.

წიგნი

სიბრძნე სიცრუისა

თქმული

სულთან-საბა ორბელიანისა.

ფასი ათი შაური.